წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი 20 ივლისი

# სამშობლო

№ 409

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ცხოვრების“ რედაქცია პატივისცემით აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას დაუვიწყარ, მაღალნიჭიერ მწერლის

## ილია ხონელის

**(ილია ლუკას ძის ბახტაძის)**

გარდაცვალებიდან 16 წლის შესრულებას.

დღეს, 20 ივლისს (ელიობას) მთავარანგელოზის ტაძარში დილის 11 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი.

---

თ-დი ბეგლარ ნესტორის ძე, დავით, შალვა, სამსონ, გრიგოლ, ნიკოლოზ და გიორგი ბეგლარის ძენი, პაშა და ოლღა ბეგლარის ასულნი ჩიჩუები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარი მეუღლის და უკანასკნელთა ძვირფასი დედის

## კნეინა ნინა ნიკოლოზის ასულის ჩიჩუასას,

დაკრძალვა მოხდება 22 ივლისს დღით პარასკევს სოფელ ზენის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, ზუგდიდის მაზრაში.

253 2—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 18 ივლისიდან ახალი პროგრამა

**სპორტი იაპონიაში**, სანახაობა.

ქალთა გულის დამპყრობი იური ნაგორნი.

დრამა 4 ნაწ. ბ.ბ. გრომოვის, ნაზაროვისტქ.ქ.ბაუერის და რებიკოვის მონაწილეობით.

**გრიბუედტას ჩოჩორი.** სახუმარო.

**ანონსი. მე თქვენ გნახეთ გუშინ სიზმარში.** ძლიერი დრამა 3 ნაწ. გამოჩ. მსახიობთა პანოვის, ა. ვერლენის და აზაგაროვის მონაწილეობით.

**დასჯილი ანტონი.** დრ. 2 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით.

---

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული

სადორიის აგარაკზე **საეზოვე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$— 2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

---

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში

---

**დ. ლაილაში.**

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

---

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

სომხის კათალიკოსი თბილისში.

26 ივნისს ამა წელს.

მოტყუებული ქმარი.

მხიარული კომედია—ფარსი 3 ნაწ.

პროგრამის გარეშე **ქურდი მიცვალებული** ძლიერი დრამა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** 21 ივლისიდან, **ორჯერ გადარჩენილი ქალი.** თანამედროვე დრამა ნაწ. ო. ბენეტიტი და ე. გონეს მონაწილ.

**ქალაქის მამები** კომედია 2 ნაწ. კამილლო-დე-რიზას მონაწილეობით.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** 17 ივლისი. დასავლეთის ასპარეზი. გულევიჩის მიდამოებში მდინარე სტოხოდზე ჩვენმა ჯარმა გასდო ხიდი და გადავიდა მარცხენა ნაპირზე, სადაც ეხლა ფეხს იკიდებს და მაგრდება. მტრის ჰაეროპლანებმა, რომელიც ნიგიშინისა და სადგურ მანევიჩის მახლობლად გამოჩნდა ყუმბარები ჩამოყარა. კოველ-როჟიშჩეს რკინის გზაზე ჩვენი ჯარი წინ მიდის, მტერი უკან იხევს და მდ. სტოხოდს უახლოვდება.

ლუცკის მიდამოებთან აღმოსავლეთ-დასავლეთით დაფრინავს მრავალი მტრის ჰაეროპლანი, ისვრის ყუმბარებს და ჩვენს ჯარს ტყვიის მფრქვეველებს უშენს. დნესტრის სამხრეთის მიდამოებში სტანისლავოვის მიმართულებით ჩვენ მტერს უკან ვახევინებთ, რომელიც წინადვე მომზადებულ სანგრებში იფარავს თავს. გენერალ ბრუსილოვის ჯარს ივნისის 15-სა და 16-ს დაუტყვევებია 2 გენერალი, 651-ზე მეტი აფიცერი, 32000 ჯარის-კაცი, მათ შორის უმეტესობა გერმანელებია. დავლათ დარჩა 114 ზარბაზანი. მათ შორის 29 მძიმე ზარბაზანია. გენერალ ლეჩიცკის ჯარმა ხელთ იგდო 21 გერმანელთა მძიმე ზარბაზანი და 85 ტყვიის მფრქვეველი.

გენერალმა სახაროვმა სამი დღის ბრძოლაში დაატყვევა ბროდასთან 216 აფიცერი 13569 ჯარის კაცი. ხელთ იგდო 9 ზარბაზანი, 40 ტყვიის მფრქვეველი, 15000-სამდე ვინტოვკა, მთლად კი სახაროვის ჯარს ივლისის 3 დან 15-მდის დაუტყვევებია 940 აფიცერი, 39152 ჯარის კაცი, 49 ზარბაზანი (მათ შორის 14 მძიმეა) 1000 ტყვიის მფრქვეველი, ყუმბარების ასაფეთქებელი, 80 ყუმბარების ყუთი 766 ტყვია-წამლისა 53 ტყვიის მფრქვეველის და 6 საარტილერიო და საინჟენერო მასალების საზიდაივ.

**პეტროგრადი.** 16 ივლისი. გერმანელთა ჰაეროპლანები რიცხვით 12 მდე დვინსკთან დაფრინავდა და 40 მდე ყუმბარები ჩამოაგდო. ჩვენი აპარატები რიცხვით 12 მიუხედავად მტრის სროლისა შეებრძოლა მტერს, რომელიც დამარცხდა და გაიქცა. მფრინავი შტაბ-როტმისტრი კოზაკოვი დაეწია ერთ გერმანელ ჰაეროპლანს და ძირს ჩამოაგდო. ბარანოვიჩის სამხრეთით დავაზიანეთ მტრის ჰაეროპლანი. 35 მფრინავი გერმანელების საავიაციო რაზმისა დავატყვევეთ, მდინარე სტოხოდთან ჩვენ უფრო მტკიცეთ ვიკიდებთ ფეხს. კოველის და ბროდის მიდამოებში და აგრეთვე სამხრეთით დნესტრიდან ჩვენი ჯარი წინ მიდის და მტერს უტევს.

**კავკასიის ასპარეზი.**

გურმიშხანეს დასავლეთით ოსმალები ორჯერ შეეცადნენ თავდასხმას, მაგრამ უნაყოფოდ. სივასის და ხარფუთის მიდამოებში ოსმალებს კვლავ დავატოვებინეთ გამაგრებული სანგრები.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„დაილუ ტელეგრაფი“ გადმოგვცემს, სერბია იტალიის შორის სრული შეთანხმება მოხდაო.

—

ასკვიტს მრავალი თხოვნა მოსდის, რათა ირლანდიის აჯანყების გმირს კეზმენტს დანაშაული ეპატიოს.

—

გერმანელებმა ჩრდილოეთის ზღვაში დააკავეს ინგლისელების დიდი სავაჭრო გემი „ბრიუსელი“.

—

ათინიდან იუწყებიან, რუმინია ნეიტრალობას არ დაარღვევსო.

—

გერმანიაში მოსალოდნელია ახლანდელ კანცლერის ბეთმან ჰოლვეგის გადაყენება და მის ადგილზე ცნობილ თ-დ ბიულოვის დანიშვნა.

---

## სამხედრო მიმოხილვა.

უკანასკნელი კვირის შტაბის ცნობებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ რუსები გალიციაში კვლავ განაგრძობენ თავის გეგმის განხორციელებას და საერთოდ რუსების მოქმედებას გალიციაში მოთოდიური ხასიათი მიეცა.

კარგად გვახსოვს თუ გალიციის ბრძოლების დასაწყისში როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს ავსტრიელებმა მთავარ ლვოვის გზაზე ბროდი ლვოვის მიმართულებით ბროდი რაძივილოვის მიდამოებში გარემოებამ რუსები აიძულა უფრო დაკვირვებული და შესაფერი გეგმა შეედგინათ შეტევისა და, როგორც ეს თავის დროზედ აღნიშნული გვქონდა წვერებით შემოვლა დაიწყეს, გალიციის ბრძოლის ველისა.

ეხლა სამხრეთ გალიციაში უკვე უნგრეთის საზღვარზე არიან რუსები და აუღიათ სიმაღლე ტომპატიკი, რომელიც სულ 15 ვერსითაა უნგრეთის საზღვარს დაშორებული.

გალიციის ჩრდილოეთით სახაროვის ჯარი ენერგიულად მოქმედებს. რაკი შეუძლებელი იყო ბროდის პირდაპირ აღება ბუნებრივი პირობების გამო, შემოვლა დაიწყო, ეხარი აუქცია ბროდის ჭაობიან ადგილებს დ ჩრდილოეთით მოსჭრა. ამნაირად ერთი დაბრკოლება კიდევ სძლიეს და დაუახლოვდნენ მიზანს ლვოვს.

შვერელი.

---

## ილია ხონელი.

**(ილია ბახტაძე).**

წელს თექვსმეტი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დადუმდნენ ბაგენი და გატყდა კალამი ერთს შესანიშნავის ქართველის ჟურნალისტისა:

ეს გახლდათ ილია ხონელი—ბახტაძე..

ჯერ დღესაც ნამდვილი ჟურნალისტი ჩვენში სანთლით საძებარია, დღესაც თითებზე ჩამოითვლება მათი რიცხვი და ამ თექვსმეტი წლის წინად ხომ სულ ორი-სამი კაცი ამშვენებდა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს და ეს ორი-სამი კაცი ეწეოდა მძიმე, უმადლო და აუტანელ შრომას ჟურნალისტისას.

ერთი მათგანი იყო ილია ბახტამეც, არა თავადი, არა წარჩინებული გვარისა, არა არისტოკრატი შთამომავლობით, არამედ შვილი უბრალო მღვდლისა, წმინდა დემოკრატი და სპეტაკი ქართველი კაცი!..

შეიძლება ეს დემოკრატობა ილია ბახტამისა იყოს მიზეზი იმისა, რომ დღეს იგი დავიწყებულიცა გვეავს და..

ნაკლებად ვიგონებთ ამ ცეცხლის მფრქვეველ კალმოსანს და..

ნაკლებად ვაფასებთ მისგან გაწეულ ბრძოლას ჩვენის პრესის აყვავებისათვის...

მოღვაწეობა ილია ბახტამისა დაუსრულებელი ომი იყო იმ დროინდელ თავდავიწყებულ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წინააღმდეგ!

წერილები ილია ბახტამისა იერიქონის საყვირივით მალს უფრთხობდა მაშინდელ მცონარეებს და მოუწოდებდა მათ სიფხიზლისა და სამართლიანობისაკენ.

მისი მკვეთრი კალამი არ ინდობდა არც თავადს, არც ჩინოსანს არც შინაურსა და არც გარეულს, როცა კი ხედავდა, რომ მათი მოქმედება, მათი აზრი და ფიქრი შორდებოდა მშობელ ქვეყანას, ხელს უშლიდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალთა აღდგენას.

სამაგიეროდ გაბოროტებულნიც არ ინდობდენ ილია ხონელს და მთელის ვერაგულის სიმკაცრით, მთელის მხამმოსილებით ატყდებოდენ თავს და ბრაზმორეულნი სთელავდენ ხოლმე მის გულწრფელ სიტყვას, წმინდა სისხლითა და მწველის ცრემლებით დაწერილ მის სტატიებს.

მაგრამ ილიკოს მაინც ვერ აშინებდენ..

შავბნელთა გულის სიღრმეში დაგუბებულ შხამს ის უხვედრებდა ბასრ ნესტარს და ამ ნესტარით სუსხავდა გველებრ მოსარსარე ენას უკეთურთა...

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** დვინის ხაზზე საჰაერო რაზმები ორივე მხრით ენერგიულად მოქმედებენ. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით რუსებმა გერმანელთა ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, მფრინავები დაატყვევეს. მდ. სტოხოდის ნაპირზე რუსებმა ფეხი მოიკიდეს. კოველის და ბროდის მიმართულებით რუსები წინ მიიწევენ; რუსებმა წინ წაიწიეს აგრეთვე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე. ლიგიშინის და სად. მონევიჩის მიდამოებში გერმანელთა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს. სტანისლავოვის მიმართულებით ავსტრიელებმა წინდაწინვე გამაგრებულ პოზიციებზე დაიხია. რუსებს მრავალი ტყვე წამოუყვანიათ ავსტრიელებისა და გერმანელებისა.

**კავკასიის ასპარეზი.** გუმიშხანეს დასავლეთით ოსმალებმა ორჯერ წამოიწიეს წინ, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს. სივასის და ხარფუთის მიმართულებით რუსებმა კვლავ განდევნეს ოსმალები მათ გამაგრებულ პოზიციებიდან.

---

და იბრძოდა იგი დღე და ღამ!

და ქადაგებდა იგი—შრომას დაუღალავს, სამართლიანობას უძლეველს, სიკეთეს დაუსრულებელს!

ჯერ სულ ახალგაზდა იყო ილია ხონელი, როცა იგი კელაპტრად დაენთო ბეჭდვითი სიტყვის წმინდა საკურთხეველზე...

შურმა მისმა თვალი მოსჭრა შურიანებს და სითბომ მისმა გული მოუკლა ღვარძლიანებს.

იგი კი ჰარჰალებდა უფრო მალუმად, ენთებოდა უფრო მკვეთრად მაგრამ, როცა შინაგანმა მადლმა მისის სულისამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, სხეული მისი ბამბის ჰატრუქივით უდროოდ ჩაიწვა და...

მოკვდა იმ დროს, როცა მტერნი სინათლისა თვალებზე ხელის აფარებას აპირებდნენ:—ვეღარ უძლებდნენ რა ილია ხონელის მედგარ მხილებას. .

წავიდეთ დღეს, ბატონებო, მის მოსაგონებელ პანაშვიდზე და ერთს წუთს მაინც გავიხსენოთ: როგორი უნდა იყოს ნამდვილი კალმოსანი, როგორ უნდა დაიწვას ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ნამდვილი მოქალაქე — მამულიშვილი!.

**ია ეკალაძე.**

---

## ქართველ ქალებს.

ყოველი ქართველი კაცი თანაგრძნობით უნდა შეეგებოს „სამშობლოში" დაბეჭდილს თქვენდამი მოწოდებას (იხ. „სამშობლოს" გუშინდელი ნუმერი).

დიახ! მართალია, რომ შეუგნებელ ქალთა პაწია ბრბოს შეუძლია სახელი გაუტეხოს არა მარტო ქართველ ქალს, არამედ, საზოგადოდ, ქართველს.

ქართველი ქალი დამარბეველისა და „პაგრომშჩიკის" როლში—წარმოუდგენელია, გასაოცარია და საკვირველი, რადგან ეს როლი ქართველი ქალის ბუნებას სრულიად არ შეესაბამება და არ შეეფერება.

მართალი მოგახსენოთ, ჩვენში ამგვარი დარბევა-პაგრომები შეუძლებლად მიგვაჩნდა და მოულოდნელად დაგვატყდა თავს.

ათას სხვა ჭირს გამოვლილთ ეს-ღა გვაკლდა, რომ ჩვენი ქონებრივი დოვლათი ჩვენი ხელითვე გავანადგუროთ და ჩვენსავე ვაჭრობას ბოლო მოვუღოთ!

თუ ვაჭართა შეშინებით საქონლის გაიეფებას ფიქრობენ, ცდებიან. პირიქით, კიდევაც რომ შეაშინონ ვაჭრები, ამით ვაჭრობა შეფერხდა და საქონელი კიდევ უფრო გაძვირდება.

მოვიყვან ისტორიიდან მაგალითს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ქაღალდის ფულის ფასი საშინლად დაეცა და საქონლის ფასი გაათკეცდა. და არა თუ ბრბომ, არამედ თვით რევოლუციურმა მთავრობამაც კი მიჰმართა შეშინების მეთოდს. ვაჭრებს ამწყვდევდნენ, სიკვდილით სჯიდნენ, სავალდებულო ნიხრს უწესებდნენ და სხ. მაგრამ ვერაფერს გახდენ: საქონლის ფასი თანდათან მატულობდა, ვიდრე ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში არ ჩადგა.

საქონლის გაძვირებას ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს და პირველ მიზეზად საერთაშორისო ომი უნდა ჩაითვალოს. მერე კიდევ: სიძვირე მარტო ჩვენში კი არ არის, არამედ მთელ რუსეთშია და არც ერთს კერძო ვაჭრას არ შეუძლია საერთო მდგომარეობას ანგარიში არ გაუწიოს. მაშასადამე პირადად არცერთს ვაჭარს ბრალი არ ედება და, როგორც სიძვირის, აგრეთვე ყოველივე სხვა ჭირისა და უკუღმართობის სათავე საზოგადო მოუწესრიგებლობაში უნდა ვეძიოთ.

მაშ ნუ თუ საშველი არ არისო? იკითხავს მკითხველი. ჩვენი ფიქრით, როგორც სამართლიანად ამბობს ხსენებული მოწოდების ავტორი, ერთადერთი გზა—ის ნაცადი საშუალებაა, რომელმაც უკვე კეთილი ნაყოფი გამოიღო.

ყოვლის უწინარეს საქალაქო თვითმართველობათ უნდა გახსნან პურის, სიმინდის, შაქრის, ნავთის, სანათისა და სხვა აუცილებელი საქონლის საწყობები, გაჰმართონ ფურნეები დმ სხ. და, მეორე, თვით საზოგადოებამ უნდა დააარსოს სავაჭრო ამხანაგობანი, რომელთაც საქალაქო თვითმართველობებთან ან პირდაპირ ქარხნებთან უნდა დაიჭირონ საქმე და შეერთებული ძალით უნდა იმოქმედონ. ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა და საშუალება ეს არის.

და, როდესაც ამხანაგობანი და საქალაქო თვითმართველობანი ამ საქმეს მოაწესრიგებენ, მაშინ ვაჭრებიც ძალაუნებურად დაემორჩილებიან საზოგადო წესს.

დასასრულ, სავსებით ვიზიარებ „ქართველის" აზრს, რომ საჭიროა, ქართველმა ქალებმა თავის ულირს წევრებს ზურგი შეაქციონ და ზიზღი გამოუცხადონ.

ქალბატონებო! ნუ დაუჯერებთ ხალხის მტრებს, ამ თავზე ხელაღებულსა და მატყუარა წამქეზებლებსა და მტაცებლებს.

ფრთხილად: შეუგნებელი მოქმედება ჩვენს ერს უფსკრულში გადააგდებს და ბოლოს მოუღებს

ვასილ წერეთელი.

---

## გადამწყვეტი ხანა.

ქართველების საერთო დაქვეითება და ცხოვრებაში ჩამორჩენილობის საკითხი იმდენად ნათელი და ცხადია, რომ მასზე ადამიანს ხმის ამოღებაც კი ეზარება ყველამ ზედ მიწევნით იცის ეს ნაკლი ქართული ცხოვრებისა, მაგრამ ქართველებს დარჩენიათ კიდევ უნარი ცხოვრებისა და ამის ნიშნები თვით ხალხის გულიდან ამოსკდომილ სიტყვებში სჩანს.

ერთი მეტად დამახასიათებელი ანდაზა გვაქვს ჩვენ, ქართველებს; „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვით კირსა." აი აზრი, რომლითაც სულდგმულობს „ყოვლის მომქმედი და შემძლებელი ენერგიული ამერიკელი; აი აზრი, რომელიც უწევს ხელმძღვანელობას თანამედროვე გოლიათურ ომის საუკეთესო მწარმოებელთ.

მოქალაქე ამერიკელისთვის, ინგლისელისთვის და გერმანელისათვის სიცოცხლე მაშინ იწყება, როდესაც გაჭირვებაში ჩავარდნილი იგი ნეტარებას გრძნობს გაჭირვებისა და შემბორკველ პირობების ძლევაში. გადაავლეთ თვალი ამერიკელის ცხოვრებას ან და თანამედროვე ომის მონაწილეთა მოქმედებას და ნათლად დაინახავთ, რომ ადამიანს ბევრი შესძლებია, გარეშე პირობები მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რომელთა თრგუნვა ყოველთვის შეიძლება

რას ვეგევართ ჩვენ, ქართველები, როგორ შევხვდით საერთო უბედურებას და როგორ გაუმკლავდით გაჭირვებას, ჩვენ, რომლებმაც ვურჩიეთ სხვას: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა".

დავუშვით დაბლა ხელები, ჩამოუშვით ცხვირები და გაბოროტებულნი ვიძახით „ამ ოხერმა ომმა, არამც, თუ შესწყვიტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა, არამედ ხალხი მოგვაკლო და ვინც დარჩა ისიც საუბედურო პირობებმა წელში გასწყვიტაო.

შევადაროთ ეხლა რომელიმე გემანელს ან და ამერიკელს ქართველი კაცი და დავფიქრდეთ, განა ეს ლაჩრობა არ არის!?

დიახ, ქართველი კაცი ლაჩარი გამოდგა საერთო დაბრკოლებებთან ბრძოლაში და ასი წლის მოხუცივით დუდუნი დაიწყო.

დაწინაურებულ ერების წარმომადგენლები იტყვიან, რამდენიც მეტი საფრთხე მოელის ადამიანს იმდენად იგი ძლიერია, იმიტომ, რომ იგი მათ სძლევს და ამით ძლიერდებაო დღეს ჩვენ ინტელიგენცია, ფართე ასპარეზი აქვს გადაშლილი მოქმედებისა, პრაქტიკული საქმიანობისა. თანამედროვე ხანა ქართული ცხოვრებისა საუკეთესო გამოცდაა ჩვენი ინტელიგენციისთვის. დღეს უნდა გამოიჩინოს მათ თავისი შნო და უნარი. დრო აღარ არის ბულვარებზე სხვადა სხვა თეორიების გაკრიტიკების, გაზეთის ფურცლებზე ლანძღვა-გინებისა და წვრილ თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისა. დღევანდელმა დღემ უნდა გარდაქმნას ყოველი ქართველი, რომელიც ასე თუ ისე ინტელიგენტის სახელს ატარებს.

სწორედ მადლიერი ხანა დადგა ჭეშმარიტ გულწრფელ მუშაკთათვის, მხოლოდ სიკვდილია დღევანდელი პირობები მცონარა, მოლაყბე „ბულვარის" და იაფი პოლემიკის ინტელიგენტებისთვის. ცხოვრებამ ქართველებს დილემა დაუსვა: ან გაანძრიე ხელი და მოიპოვე უკეთესი მომავალი ან და გაეხვიე სუდარაში და გაშორდი ამ ქვეყანას.

კიტონ კობახიძე.

---

## ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ.*)

(დასასრული, იხ. „სამშ № 408.)

ა) სამშობლო ჩვენი საქართველოა. მართალია მოსულები ვართ იერუსალიმიდან, მაგრამ თვით ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები კი არ არიან მოსული საქართველოში?

სადაც ახლა ალპიის მთები დგანან, იქ მოსული არიან ისინი (მთები) 100 ვერსის მანძილიდან, და რა გასაკვირელია, რომ ხალხი მოძრაობდეს და მოგზაურობდეს. მხოლოდ საქმე იმაშია,—თუ რამდენი ხანია, რაც ჩვენ საქართველოს მკვიდრებად და ბურჯებად ვითვლებით. მცხეთაში აღმოაჩინეს ქვა, რომელიც ედვა ისრაელ ქართველის საფლავს და რომელიც ეკუთვნის მე-VI საუკუნეს ქრისტეს წინათ; ასე რომ, 2500 წლის წინად ჩვენები სცხოვრობდენ საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ ისრაელთა წელთ-აღრიცხვით 6000 წელიწადია რაც ღმერთმა დედამიწა გააჩინა; ამ 6000 წელში, თითქმის 3000 წელიწადს ჩვენ აქ ვცხოვრობთ, მაშ გვაქვს უფლება ვუწოდოთ საქართველოს ჩვენ სამშობლო, თუ არა?

ბ) დედა-ენა ჩვენი ქართულია ამას დიდი მტკიცება არ უნდა, მაგრამ მაინც მოგაგონებთ, რომ წმ. ნინოს ცხოვრება ქართველ ისრაელების:—მღვდელ მთავარ აბიათარ და მისი ქალიშვილი სიდონიას მიერ მე-IV საკუნეში ქართულად არის დაწერილი. ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, რომლებიც I საუკუნეში მიწვეული იყვნენ საქართველოდან ქრისტეს სწავლის გასარჩევად, ქართულად სწერდნენ წერილებს იერუსალიმში „ჩვენ ქართველი ჰურიანი"-ო და სხ.

გ) ზნე-ჩვეულება და ხასიათი, დაგვეთანხმეთ, რომ ჩვენ უფრო ქართული გვაქვს, ვიდრე რუს ამერიკის ებრაელების.

დ) კულტურულად, სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად ვენათესავებით რომელს უფრო, ქართველობას როგორც ეროვნებას თუ რუს-ამერიკის ებრაელობას?

ე) გრძნობა, ფიქრი, რწმენა, მისწრაფება გვაქვს ერთი ქართველებთან, თუ უფრო რუს-ამერიკის ებრაელობასთან?

ვ) ჩვენი ისტორია, წარსული? მართლაც და ბევრ რამეს საგულისხმიეროს გვეუბნება ქართული ისტორია, და, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ჩვენი წინაპრების რაბინები და აგრეთვე ქართველი ერის მოწინავენი ასე გადაგვარებულად არ სწყვეტდნენ ჩვენს და ჩვენ მოძმე ქართველ ქრისტიანების საკითხს. საკმარისია მოვიგონოთ ბაგრატიონთა დინასტია, რომ სიამაყით ვთქვათ „ჩვენ ქართველი ისრაელები ვართ!.."

ჩვენთვის ყოვლად საკმაო ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით ვაღიაროთ თავი ქართველად ეროვნებით და ისრაელად სარწმუნოებით. მაგრამ არიან ზოგი ისეთი „მაგარი" და ან ბააზოვისთანა მოაზრე პირები, რომელთაც არ ესიამოვნებათ ჩვენი ქართველობა და რომელთაც არ აკმაყოფილებთ ჩამოთვლილი ნიშნები ეროვნებისა. ისინი მოითხოვენ კიდევ მეტსა და მეტს, მაგალითად შთამომავლობას, ე. ი. იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ ოდესმე მიგვიღია ისრაელობა

უნდა ვსთქვათ, რომ ეს საკითხი მეტად რთული და სერიოზულია; მით უმეტეს ძნელია მისი გამოკვლევა, რომ ჩვენ ძლიერ დაშორებული ვართ იმ ხანას, როდესაც უნდა მიგველო ისრაელობა და არც ბევრი საბუთები უნდა მოიპოვებოდეს ამის დასამტკიცებლად. ეს საკითხი არა გავს არც ქართველ-მაჰმადიანთა და არც ქართველ კათოლიკეთა საკითხს, რომლის გამაჰმადიანება თუ გაკათოლიკება მოხდა, ასე ვსთქვათ, გუშინწინ, ჩვენს თვალწინ. ჩვენი საკითხი კი ათასწლობით არის ჩვენზე დაშორებული და არ ვიცით,—როგორ, ვინ და როდის გადასწყვეტს მას

ზ) ამ ბოლო ხანებში ქართველი საზოგადოება და პრესა ცოტაოდენ დაინტერესდა ჩვენი ქართველი ისრაელების საკითხით. აი მაგალითად რასა სწერს ბ. ივ. გომართელი*): „ერთხელ პეტროგრადში დავესწარი ერთ კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა კავკასიის ებრაელებზე. ერთმა მეცნიერმა განაცხადა: კავკასიის ებრაელები ნამდვილი ებრაელები არ არიან; საქართველოს ებრაელები-კი არიან ქართველები, რომელთაც მოსეს რჯული მიუღიათო ქართველ ებრაელთა თავისქალა ცხადად ამტკიცებს, რომ ისინი ქართველები არიან და არა ძველ ებრაელთა მოდგმაო.

ქორწინების წყალობით ქართველ ებრაელებში ქართველის ტიპი რამოდენიმეთ შეიცვალა, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ხანანაშვილი, ელიგულაშვილი, სეფიაშვილი, ჯანაშვილი, რიჟინაშვილი, მათიაშვილი, კურკჩიშვილი, დავარაშვილი, კაკიტელაშვილი, ბერიძე, ფიჩხაძე, მოძღვარიშვილი, ეფრემაშვილი, თავდიდიშვილი, კიკოზაშვილი და მრავალი სხვანი ჩამომავლობით ქართველები არიან და არა ებრაელები*).

უეჭველია ამ სტრიქონების ავტორს საბუთებიც მოეპოვება თავის აზრების დასამტკიცებლად ..

რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავკადნიერდებით იმოდენად, რომ ავტორიტეტიულად რაიმე განვაცხადოთ ჩვენ შთამომავლობაზე, რადგან ჯერ-ჯერობით არც საკმარისი ცოდნა შეგვწევს ამ დარგში, მაგრამ მაინც გაუზიარებთ მკითხველ საზოგადოებას შემდეგ მასალებს:

„მერვე საუკუნეს ნახევარში (ქრისტეს შემდგომ) ნაწილმა ხაზარებისამ, ან მეფემ თავის თავადებით მიიღეს ისრაელობა"**)

„უფრო დასაჯერებელია ჩვენამდის მოსული მოწმობა, რომ ებრაელთა სინაგოგამ (სალოცავმა) საქართველოში მიაღებინეს ხაზარებს ისრაელობა."***) თუ კი ჩვენი მისიონერები საქართველოდან მიდიოდენ შორს და უცხო ქვეყანას, უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხთან ისრაელობის გასავრცელებლად, განა აქ, სამშობლოში უფრო ადვილად არ შეეძლოთ მათ მიეღებინებინათ თავიანთი სარწმუნოება, რამოდენიმესთვის მაინც?

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ეს ქართველთ გაისრაელება ხდებოდა საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ, ჩვენ მოგახსენებთ მხოლოდ იმ დროზე, როდესაც არ იყო ჯერ კიდევ საქართველოში შემოღებული ქრისტიანობა, არამედ ყოველი ქართველი მაშინ იყო კერპთაყვანისმცემლი, რომელთაც შორის ძლიერ ადვილად გაავრცელებდნენ ისრაელობას იერუსალიმიდან მოსული შალიახ-მისიონერები.

ამ ჩვენს აზრს ადასტურებს ისტორიკოსი თ. ჟორდანია, რომელიც სწერს: [1]) „რასაკვირველია, ეს თუ მოხდა. (ე. ი. „ნებროთიანის" შედგენა, ან მისი გადაკეთება „დაბადების" ზედ-გავლენით"), უსათუოდ მოხდებოდა ებრაელთაგან, რომელნიც ჩვენის ძველის მემატიანების და თვით გეროდოტის მოწმობით ცხოვრებულან ჩვენს ქვეყანაში ძველის დროითგან, ხოლო ნაბუქოდონოსორ მეფის შემდეგ მრავლად დასახლებულან ჩვენში, და იმპერატორის ტიტესგან იერუსალიმის წარტყვენის შემდეგ. (70 წ. ქრისტეს აქეთ). მათი რიცხვი საქართველოში გაორკეცებულა. რასაკვირველია, ებრაელნი ეცდებოდნენ, რომ თვისი სარწმუნოება და მოთხრობანი შესახებ პირვანდელი დროებისა გაევრცელებინათ ჩვენში, მით უმეტეს, რომ ებრაელთა სარწმუნოება და სწავლა ერთს უხილავ ღმერთზე მიუწვდომლად მაღლა იდგა კერპთაყვანისმცემელთა ბორგვნილებაზე".

შემდეგ, „ქართლის ცხოვრებაში" ეხვ-

*) „თეატრი და ცხოვრება" № 22, გვ. 2—3.

*) მართალია რაბინი ბააზოვი სწერს: „მიხაკო ხანანაშვილის და დიდათ პატივცემული ივ. გომართლის მოსაზრება ამის შესახებ სრულიად უსაბუთოაო"-ო, მაგრამ ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ რუსეთის „იეშიბებში" აღზრდილი, ონის რაბინი უკეთ იცნობდეს ქართველი ერის ისტორიას, ვიდრე ბ. ივ. გომართელი. რაც შეეხება მიხაკო ხანანაშვილს, ეს უკანასკნელი „სახ. ფურ." 607 №-ში, ჩამოსთვლიდა რა მოკლედ იმ ღვაწლს რაც ქართველ ისრაელებს მიუძღვის სამშობლოს წინაშე, მოითხოვდა, რომ „მეტის გულშემატკივრობით მოვეპყრათ განათლებით და უფლებით ჩამორჩენილ ჩვენი ხალხის პატარა ნაწილს და მეტის სიფრთხილით შევხვდეთ განათლებულ ჩამოსულებს".

**) еп. Киріонъ, „Культурная роль Иверіи въ исторіи Руси" გვ. 263.

***) Пл. Іоселіани „Описаніе древ. Тифлиса" გვ, 169, შენიშ. *.

[1]) იხილე მისი ქრონიკები გვ. 9—10.

---

## მილოცვის დეპეშა.

**თეოფილე ხუსკივაძეს.**

სოხუმიდან.

მოულოდნელმა ამბავმა ... თავის დროზე აღგვენიშნა თქვენი სასარგებლო და სიყვარულით გამთბარი სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე. მიიღე ჩვენი სალამი სოხუმელ ქართველების სახელით.

თავდგირიძე, გელოვანი მახარაძე.

---

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ცხოვრების" ივლისის მორიგი ნომერი. ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი აგრეთვე რედაქციამ მიიღო თბილისიდან ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" ✦ დღეს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი ცნობილ ჟურნალისტის ილია ხონელის სულის მოსახსენებლად, რადგანაც შესრულდა 16 წელიწადი დღიდან მისი გარდაცვალებისა.

✦ ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება დეპუტატი კარლო ჩხეიძე. რომელმაც ჩამოიარა სამტრედია, კულაში, ხონი და სხვა ადგილები. სამტრედიასა და კულაში გუბერნატორის ნებართვით მან მოახდინა ხალხის ყრილობა და განუმარტა მათ, თუ რა სამარცხვინოა თვით შეგნებული ხალხისათვის დარაევა და აწიოკება ვისიმე, მით უმეტეს, რომ ასეთი საქციელი ხალხისა საშუალებას მისცემს მის მტრებს ათას გვარი ცილი დასწამოს ქართველობას. რომელმაც თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა ბრძოლის ველზე რუსეთის დასაცავად.

✦ ბ ნი კარლო ჩხეიძე არ ამართლებს რავაჭრების საქციელს, სთხოვს ხალხს შეერთებული ძალით მოაწესრიგონ დღევანდელი ყოფამდგომარეობა, ერთმანეთის დახმარებით გაუძლონ სადღეისო ჭირვარამს და ერიდონ ყოველგვარ ძალმომრეობას.

ხალხმა აღტაცებით მოისმინა დეპუტატის დარიგება

საჭიროა სხვა დაბა ქალაქებსაც ინახულებდეს პატივცემული დეპუტატი და თავის გავლენიან სიტყვით აუხსნიდეს ქართველ მასსას, რომ ყოველივე შავრაზმელობა შემარცხვენელია ხალხისა და მაზარალებელია ჩვენის ქვეყნისა.

✦ როგორც გავიგეთ იმ თანხიდან, რომელიც გადასდო მინისტრთა საბჭომ იმპერიის სამღვდელოებისათვის. საქართველოს საეგზარხოსოს სოფლის მღვდლებს დაენიშნებათ ერთ დროულ დახმარება სამას-სამასი მანეთით, ხოლო მედავითნეებს ას-

ასი მანეთი. ქალაქის მღვდელ დიაკვნები-კი მეტს მიიღებენ.

✦ გუშინ ქუთაისში თითქმის მთელი დღე სწვიმდა და გვალვისაგან გადამწვარ მიდამოებს სიცოცხლე დაეტყო.

✦ ხარაგაულის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა, რომ ხარაგაულის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის გამგედ მოწვეულ იქმნეს განჯის უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებელი ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი.

✦ ქუთაისის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო გიორგი ამ ჟამად გელათში იმყოფება.

✦ განათლების სამინისტრომ დადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან ყველა საშვალო სასწავლებელში დაარსებულ იქმნას მშობელთა წრეები. როგორც დადგენილებიდან სჩანს მომავალ მშობელთა წრეებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამოსწავლო საქმეებშიც.

✦ რადგანაც რუსეთის ყველა კერძო სასწავლებლებიდან მოსწავლეთ ჯარში იწვევენ და სასწავლებლის ყველა უფროს კლასებს დახურვა მოელის, ამიტომ განზრახულია შინაგან, სამხედრო და განათლების სამინისტროების წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, რათა კერძო სასწავლებლების მოწაფეთ სასწავლებლის დამთავრებამდე შეღავათი მიეცეთ.

## ჩვეულებრივ მივიწყებისაკენ.

„ჰიათურის საკითხის“ გარშემო ატეხილმა „განგაშმა“ რამდენიმე დღით დაარღვია უმოქმედო ქართველის წყნარად მიმდინარე ცხოვრება.

დიდი ხმაურობა ასტყდა, დიდ ეროვნულ საქმეზე ავლაპარაკდით.

ყველა ღრმა აზრებს წარმოსთქვამდა და ეს ყოველივე, მხოლოდ, რამდენიმე დღით იყო.

ერთი გარკვეულის და სახელმძღვანელო აზრის შედგენა, მაინც შეუძლებელი შეიქნა.

სამაგიეროდ უცბად ავარდა „ჯგუფობანური“ ბრძოლის ალი, ყველას მოაგონდა ჩვეული გამოსვლები და დაიწყო კომპანია.

ლანძღვა, გინება, თრევა და ამრიგად აღძრული საკითხი გადაიქცა გაზეთის ფურცლებზე სალაყბო მასალად.

სიტყვიდან კი საქმეზე არ გადავსულვართ!

ჰიათურის სიმდიდრის შეძენა მთელ საქართველოს ხალხს ეროვნულ მიზნად არ უცვნია!.

და ამ მხრივ ქართველობამ კვლავ ის ზარმაცი მოწაფე მოგვაგონა, რომელიც ენკენისთვეში დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით მიდის სკოლაში მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ კი სწავლაზე გულს იცრუებს ხოლმე.

ასე ყოფილა ყოველთვის და ასე იქნება შემდეგშიაც, ვიდრე თვით ხალხი, თვით ქართველი ხალხი არ შეიგნებს, რომ საქვეყნო საქმისადმი გულგრილობა დაღუპავს მას და მისი ვერ იქნება მხსნელი ამ ეროვნულ მნიშვნელობის საკითხის მხოლოდ რამდენიმე უსარგებლო საპოლემიკო წერილის საგნად გახდომა.

არამედ კარგ სიტყვიდან კარგსავე საქმეზე გადასვლა!

ი. იმერელი.

## კიკნა-ფშაველის და გ. ხერხეულიძის მკვლელობის გამო.

გაზ. „საქართველომ“ გვაუწყა, რომ სტ. ბადურაშვილი კიკნა-ფშაველი ყოფილა. გრიგოლ ხერხეულიძე მის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა.

უკანასკნელი მეტის მეტად ენერგიული ახალგაზრდა იყო. ყოველთვის სიტყვაზე მაღლა საქმეს აყენებდა და ჩუმად იღვწოდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ის აღყობდა წრეებს, ჰკითხულობდა ლექციებს და საქმეში ყოველთვის ყმაწვილური სიხალისე და ენერგია შეჰქონდა. ბადურაშვილი კი უფრო ცნობილია ქართველი საზოგადოებისთვის. ის მწერლობდა კიდევ მოწაფეობის დროს, როდესაც ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა

იგი ნიჭიერ პოეტად ითვლებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ლიტერატურას თითქოს ჩამოშორდა. მის ლექსებსაც არ ეტყობოდა ძველი დემონიური სული. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ კიკნა-ფშაველა თავისებური მწერალი იყო. მას რაღაც სევდა სტანჯავდა და იწვევდა მის სულში „დაუსრულებელ კვნესას“.

ქართულმა კრიტიკამ, თუ კი არსებობს ის, უყურადღებოდ დასტოვა კიკნა-ფშაველი, თუმცა მიზეზი ამის გაუგებარია. ეხლა ხან გრ. ხერხეულიძემ განიზრახა მისი ლექსების კრებულის გამოცემა იმართებოდა ხელის მოწერაც. საკვირველია რამ აიძულა კიკნა-ფშაველა ამხანაგის სასიკვდილოდ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კიკნა-ფშაველი ნერვებ აშლილი იყო „საქართველოს“ ცნობა, რომ მათ უთანხმოება მოუვიდათ პარტიულ ნიადაგზეო, სიმართლეს უახლოვდება, მაგრამ ეს მაინც მკვლელობის საფუძვლიან მიზეზად ვერ გამოდგება; ალბად აქ უფრო მრავალ-მნიშვნელოვან ფაქტს ჰქონდა ადგილი.

ყოველ-შემთხვევაში ეს მეტად სამწუხაროა, არა როგორც ერთეული მოვლენა. ჩვენ ხშირად ვყოფილვართ ქართველ ახალგაზრდობის უიმედობისა და სულის კვეთების მოწმეები. მიზეზს თვით ჩვენი არეულ-დარეული ცხოვრება იძლევა და ვისურვებ ეს შემზარავი მკვლელობა პირველი და უკანასკნელი ყოფილიყოს ჩვენ ცხოვრებაში.

მ.

## ნოქართა კრება.

17 ივლისს, კვირას, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ადგილობრივ სავაჭრო, სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა კრება რომელსაც დაესწრო ადგილობრივი პოლიციმეისტერი. ვბეჭდავთ კრების ოქმს.

1916 წელს, ივლისის 17-სა დღესა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში 12 საათზე შესდგა ქუთაისში არსებულ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 300 კაცი. კრების მომწვევების სახელით კრება სცნო რა კანონიერად ბ-ნ ჯიმშელეიშვილმა მოუწოდა მათ აერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. ტუსკია და მდივნათ ბ. ჰავჰანიძე. თავჯდომარემ კრებას აცნობა რა, რომ დღეს შესრულდა სწორედ ერთი წელი რაც ქუთათურ ნოქრებს გამოაკლდა თვალსაჩინო წევრი მ. ბერიშვილი, რომლის პანაშვიდი დღეს გადახდილ იქნა მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, მოუწოდა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მის ხსოვნისათვის რაც შესრულებულ იქნა.

შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო კრებას თუ რისთვის იყო მოწვეული დღევანდელი კრება და თანახმად მოცემულ ნებართვისა, კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) ნოქრების ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევა და მათი ჯამაგირების მომატება. 2) მომავალი მობილიზაცია — ნოქრების ჯარში გაწვევა — და მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა.

3) დღევანდელი სიძვირე, მისი გამომწვევი მიზეზები, „პოგრომი“ როგორც საშვალება სიძვირის წინააღმდეგ და მასთან ჩვენი დამოკიდებულება.

1) პირველ კითხვის შესახებ იქონია რა კრებამ მსჯელობა და განიხილა რა დაწვრილებით ის საერთო პირობები, თუ რამდენად უხდება ნოქრებს მუშაობა საზოგადოდ და შეეხო რა კერძოთ დღევანდელ აუტანელ მდგომარეობას გამოწვეულს საერთო სიძვირით, რომ ყოველ პირველ მოთხოვნილების საქონელი გაძვირდა თითქმის 300—400 პროც., კრებამ შეუძლებლად დაინახა დღევანდელ პირობების გაგრძელება და დაადგინა რომ მომატებულ ექნას ჯამაგირები ყველა სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეებს შემდეგ ნაირათ:

ჯამაგირების მომატების დროს, რომ დაცულ იქმნეს თანასწორობა და არც მოთხოვნილება გახდეს აუტანელი მეპატრონეთათვის ამიტომ კრებამ ყველა ნოქრები გაყო ოთხ კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში რომლებიც ღებულობენ 25 მ დე, 2—25—50, 3—50—75 და 4—75 მან. ზევით და ამის მიხედვით კრება ადგენს, რომ გადიდებულ ექნეთ ჯამაგირი შემდეგ ნაირათ: პირველებს — ე. ი. რომლებიც ღებულობენ 25 მ-დე მოემატოს იმათ 130 პროც., მეორეთ — ე. ი. რომლებიც ღებულობენ 25 მან. — 50 მან. 80 პროც., 50 მანეთიდან 75 მანეთამდე — 50 პროც. და 75 ზევით კი 40 პროც. — საერთოთ არც ერთ ნოქარს არ უნდა ექნეს ჯამაგირი 40 მანეთზე ნაკლები.

2) გადადის რა კრება მეორე კითხვაზე აღნიშნავს იმ საერთო მდგომარეობას, თუ რა პირობებში უხდებათ ცხოვრება საზოგადოთ ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახებს და განსაკუთრებით კი ნოქრებისას რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი სახსარი გარდა საკუთარ ჯამაგირისა რომელიც ომში გაწვევისთანავე ესპობათ და რომ ცოტათი შემსუბუქებულ იქნას უმწეოდ დარჩენილ ოჯახის აუტანელი მდგომარეობა, კრება საჭიროთ სცნობს მიეცეთ ომში გაწვეულ ნოქრებს მაღაზიის მეპატრონეთაგან ერთდროულათ ექვს-ექვსი თვის ჯამაგირი, განურჩევლათ იმისა თუ ვინ რამდენს ღებულობს ან რამდენი წელი უმსახურიათ მაღაზიის მეპატრონესთან.

ყველა ზემოხსენებული გადაწყვეტილებანი რომ სისრულეში იქნას მოყვანილი, კრება ირჩევს კომისიას 10 კაცისაგან შემდგარს, რომლებიც ეცდებიან ადგილობრივ მთავრობის და ქალაქის თავის დახმარებით მოწვეულ იქნას ვაჭართა კრება და წარედგინოს მათ დღევანდელი კრების დადგენილებანი, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ზემო აღნიშნული მოთხოვნილებანი 1 აგვისტომდე.

კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) თეოფილე ჯიმშელეიშვილი, 2) ერასტი ჰავჰანიძე, 3) დომენტი ბახტაძე, 4) პრაკოფი გეგეჩავა, 5) ბენიამინ ბრეგაძე, 6) ილია წიქორიძე, 7) ილია გეგეჭკორი, 8) ალექსანდრე აბულაძე, 9) ნოე მიქაძე და 10) დავით მოშიაშვილი, მათ კანდიდატებათ: თომა ცხაკაია, გიორგი ნამგალაძე და იოსებ გუგუნავა.

აგრეთვე კრება აუცილებელ საჭიროთ სცნობს, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ, პროფესიონალური კავშირის აუცილებლობას, და ავალებს ზემოხსენებულ კომისიას, რომ მიიღოს ყოველივე ზომები რათა დაარსებულ იქნას პროფესიონალური კავშირი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის.

მესამე კითხვის — ე. ი. დღევანდელი სიძვირე, მისი გამომწვევი მიზეზები, „პოგრომი“ როგორც საშუალება სიძვირის წინააღმდეგ და ჩვენი მასთან დამოკიდებულება, კრებამ იქონია რა მსჯელობა, გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი.

„მუშათა კლასი ყოველგან და მუდამ გმობდა ისეთ ექსესებს, რომელიც მიმართულია ძარცვა-გლეჯისაკენ და ყოველ საზოგადო მოვლენას ხსნიდა თანა-მედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობებათ, „პოგრომი“ როგორც შედეგი ხალხის შეუგნებელი ნაწილის უკმაყოფილების დასაგმობია, რადგანაც ის ვერ სწყვეტს დასმულ კითხვას, პირიქით იწვევს კიდევ მეტ არევ-დარევას და უწესრიგობას. სხვა და სხვა ქალაქებში მომხდარ „პოგრომებს“ აქვს თავის ღრმა მიზეზები და მათი თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მივმართოთ ფართო ზომებს. ასეთ არევ-დარევას, ძარცვა-გლეჯას და თარეშს ვერავითარი ხელოვნური დახმარება ვერ გამოიწვევდა, რომ მას თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების უკუღმართობანი არ ასაზრდოებდეს. ომმა მხოლოდ გაამწვავა ის პირობები, რომელიც თან ზდევს კაპიტალისტურ მეურნეობას. გარდა სამხედრო ინდუსტრიისა წარმოება შემცირდა, მრეწველობა დაეცა. სასოფლო მეურნეობა საშინელ კრიზისს განიცდის, ვაჭრობა შეფერხებულია ტრანსპორტის და მიმოსვლის სრული მოუწესრიგებლობით, ქაღალდის ფულის კურსი დღით დღე ეცემა, რასაც ზედ ერთვის ვაჭარ — მრეწველთა სპეკულიაცია და ფასების ხელოვნურათ აწევა. ასეთ პირობებში უმწეოთ დარჩენილ ოჯახების მდგომარეობა ერთი — ასათ უარესდება, ხალხი ნამდვილ შიმშილს განიცდის და მისი უკმაყოფილებაც „პოგრომებში“ იხატება. ჩვენ გადაჭრით ვებრძვით რა ყოველგვარ შეუკავშირებელ გამოსვლებს, რომელსაც შედეგათ მოზდევს ძარცვა — გლეჯა და ისედაც არა ნორმალურ პირობების გართულება, აუცილებელ საჭიროდ ვსცნობთ ყველა ამის თავიდან ასაცილებლათ შემდეგს:

1 პირველ ყოვლისა საჭიროა მიეცეს ხალხს უფლება გამართოს კრებები, რათა შეიმუშაონ სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლი საშვალებანი. დარჩეს ხალხის ნდობით აღჭურვილი საქალაქო და საუბნო „ობივატელთა“ კომიტეტები. შემოღებულ იქნას „საკარტოჩკო“ სისტემა.

2 საჭიროა სახელმწიფო დახმარება გადიდდეს ჯარში გაწვეულთა ოჯახებზე, ქალაქებმა უნდა მოაწყოს იაფ ფასიანი სასადილოები.

3 საჭიროა განსაზღრულ ფასების დაწესება წარმოების ადგილას და ამნაირათ ფაბრიკანტების რამოდენიმეთ ალაგმვა.

4 უნდა გაფართოვდეს მუნიციპალური ვაჭრობა და ის სავსებით მომხმარებელთ კანტროლს დაემორჩილოს.

5) ადგილობრივი ნიხრის სისრულში მოყვანა არ უნდა მიენდოს ვაჭრებს, არამედ „ობივატელთა“ კომიტეტებს.

6) საჭიროა დემოკრატიამ გააძლიეროს მუშაობა კოოპერატივების გარშემო და მით ხელი შეუწყოს სასურსათო საქმის მოწესრიგებას.

კრება ადგენს დადგენილებათა პირები გაუგზავნოს: გუბერნატორს, ქალაქის თვითმართველობას და ყველა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს.

## რუსეთი.

———

იაროსლავში ბრძანება გამოუციათ, რათა აღკრძალულ იქნას კერძო ოჯახებშიაც მაგარი სასმელების მზადება, დამნაშავეთ 3000 მანეთით აჯარიმებენ.

———

### უცხოეთი.

იტალიის ყველა საპოლიტიკო დაწესებულებანი, ქება დიდებით იხსენიებენ ს. დ. საზონოვს, მწუხარებას გამოსთქვამენ მისი გადაყენების გამო და იმედოვნებენ, რომ მინისტრი შტიურმერი საზონოვის გზას დაადგება, რაც აუცილებელია ბრწყინვალე გამარჯვებისთვის.

———

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ გერმანია ძლიერ მოწადინებულია რუმინია თავისკენ მიიმხროს, მაგრამ ეს უკანასკნელი ეჭვის თვალით შესცქერის გერმანიას და შესაძლებელია მალე ოთხთა კავშირს მიემხროს.

———

ინგლისის პალატაში დიდი აურზაური

---

დებით შემდეგ ცნობას: „მღვდელი ელიოზ (რომელმაც შემოიტანა საქართველოში ქრისტეს პერანგი) მყოფი მცხეთას ჰგონებდა ჰურიათათვის და ქადაგებდა განათლებასა წარმათთასა“; — რომელ განათლებას იქადაგებდა მღვდელი კერპთაყვანისმცემელებში, თუ არა თავის სწავლას და სარწმუნოებას? ეს იყო პირველ საუკუნეში, როდესაც არსად არ იყო გავრცელებული ქრისტიანობა და მთელ საქართველოშიაც ვერ იპოვნიდით ვერც ერთ ქრისტიან ქართველს.

წარმათთა განათლებაზე და გაბრწყინვებაზე კიდევ უფრო ადრე ზრუნავდა ამ ელიოზის დედაც..

რაც შეეხება ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ხანას, — ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმე ქართველ ქრისტიანს მიეღოს ისრაელის რჯული. კი, მირთალია პატრი მიხეილ თამარაშვილს მოყავს ცნობა, რომ გორის პატრი ამბროსი სწერდა 1640 წელს რომში, ვითომც საქართველოს დაცემის შემდეგ ხდებოდა ქართველთ არამც თუ მარტო გათათრება, გაფრანგება და გასომხება, არამედ გაებრაელებაცო, მაგრამ ზაქარია ჭიჭინაძეს საბუთები მოყავს ამ საეჭვო ცნობის დასარღვევად*) და დასკვნის კიდეც: „ქართველთ გაურიავება კი არა და ურიების გაქრისტიანება კი ისე ხშირად და მრავლად ყოფილა, რომ დღესაც გურიას, სამცხეს, იმერეთს და ქართველს ასობით მოვთვლით ისეთ გვარებს, რომელთაც წინაპარნიც ისრაელნი ყოფილან და შემდეგ კი ჟამთა ვითარების მოხებით, თავიანთ ნებით თუ ძალოვნებით ქრისტიანობას დაკავშირებიან.“.

მიუხედავად ზემომოყვანილ (იხილე „ზ“) ცნობებისა ჩვენი შთამომავლობის შესახებ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შთამომავლობა არ შედის ეროვნების ახსნაში, როგორც უმთავრესი ფაქტორი. თუ კი სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხს შეუძლია ერთი სარწმუნოებისა იყოს (მოიგონეთ ხაზარები), რისთვის არ შეიძლება რომ ერთ ეროვნებას ეკუთვნოდეს სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხი, თუ კი, რასაკვირველია, წარსული და უმთავრესი ნიშნები ეროვნებისა აერთებს მათ? დიაღ, შეგიძლიანთ წარსულით იყოთ სხვა შთამომავლობისა, მაგრამ ახლა-კი ქართველი ეროვნულად. ამის დასასაბუთებლადაც მოვიყვანთ შემდეგ ისტორიულ ცნობას: ჯამბაკურებიორბელიანები, ბარათაშვილები საქართველოში განმტკიცდნენ მეფე ფარნავაზის დროს (მე-III საუკუნეში ქრ. წინ) ამგენმა სთხოვეს ფარნავაზს ქართლოსიანს, რათა მიეცა მათთვის ნება საქართველოში დასახლებისა, რის შემდეგაც ჯამბაკურ და ბარათა დასახლდნენ 5,000-მდე მეომრით გორისა და თრიალეთის მაზრებში.

თუ ახლა ესენი ითვლებიან წმიდა წყლის ქართველებად, ქართველ-ისრაელთ კი რაღა ცოდვა მიუძღვით სამშობლოს წინაშე? განა მხოლოდ ის, რომ მათ მტკიცედ შეინახეს მოსეს მოძღვრება? განა ისრაელი ქართველებიც ასე თუ ისე თავიდანვე არ უწყობდნენ ხელს საქართველოს კულტურის შექმნას? განა ისიც, მიუხედავად მათი რჯულისა არ იყვნენ ჩართული სამშობლოს საერთო ფერხულში და არ შეადგენდნენ მის ორგანიულად განუყრელ ნაწილს?...

ბატონებო, ასიოდე წელია მხოლოდ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, და თუ კი ჩვენ მოწინავე საზოგადოებას ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს ამის შიში, რომ შესაძლოა გავრუსდეთ და გადავგვარდეთ ეროვნულად, და ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე ვსცხოვრობთ და ჩვენი საკუთარი კულტურით ვსარგებლობთ, განა ქართველი ისრაელები კი აღარ გაქართველდებოდნენ ეროვნულად ამ 2000—3000 წლის განმავლობაში? დიაღ, — რადგან ჩვენ ეროვნულად უკვე ქართველები ვართ, ამისთვის მიუღებელია ჩვენთვის სხვა ეროვნების პარტიის პროგრამა. ჩვენი იდეალი საქართველოა!

ჩვენს წინაპართ-წინაპრებს არ ეთაკილებოდათ თავიანთი თავი ეღიარებინათ „ქართველ ურიათ“, ბ. ბააზოვს კი თვის მრავალრიცხოვან წერილების სათაურებში ერიდება სიტყვა „ქართველის...“

რადგან წერილი გაგრძელდა და არცა გვსურს მისი დაწვრილმანება, ჩვენ არ გავარჩევთ ბ. რაბინ ბააზოვის ვრცელ წერილს: „ჩემი პასუხი არა ებრაელს“, რათა იმედი გვაქვს თვით „არა-ებრაელი“ (მაგრამ „ქართველი ისრაელი“) დაწვრილებით უპასუხებს მას.

ჩვენ-კი დაუბრუნდებით ზემო ნაჩვენებ მე 3 მუხლს, სადაც ქართველი ისრაელების „მოკეთე“ ონის რაბინი ბრძანებს, რომ არაფერი იოტის ოდენი განსხვავება არ არსებობს ეროვნულად ჩვენსა და რუს-ამერიკის ებრაელებს შორის. ამ სიტყვებს მეტად ცუდი სუნი უდის, ვის წინაც ჯერ არს. ჩვენთვის „გულშემატკივარ“ რაბინს კარგად უნდა ცოდნოდა როცა ამ სიტყვებს სწერდა, რომ ქართველი ისრაელობა მოძმე ქართველ ქრისტიანების დახმარებით რამოდენიმე ათეული წელიწადია ცდილობს უფლებების („პრავების“) უკან დაბრუნებას. იოტის ოდენა განსხვავებაც-კი არ არის ჩვენს და რუს ებრაელების შორის? — მაშ ვინ რას დაგვიბრუნებს? გრძნობ როგორი სუნი უდის ონის რაბინის ნათქვამს მთავრობის წინაშე?; სწორეთ ასეთივე ცუდი სუნი უდის ჩვენში მის „მოღვაწეობას“, თუ კი ქართული საზოგადოება ღრმად ჩაუკვირდება საკითხს და გაითვალისწინებს, რა შედეგი უნდა მოჰყვეს იმ მიმართულების ჩვენში ფეხის მოკიდებას, რომლისთვისაც ასე ენერგიულად მოქმედებს რუსეთის სიონისტების მიერ გაწვრთნილი რაბინი. ჩვენ „პოგრომების“ არ გვეშინიან, რაბინო ბაზოვო, თუ ქართველ ისრაელებს მსხვერპლად არ შესწირავთ თქვენ მიმართულებას და ჩვენი მოძმე ქრისტიანი ქართველებიც მოიგონებენ მამა-პაპათა ტრადიციებს და ძველებურად პატივსცემენ ჩვენს რჯულს.

მართალია, ჩვენ ისრაელ-ქართველებს იმ 14 მილიონ ებრაელთან გვაქვს ერთი სარწმუნოება, მაგრამ ნუ თუ რჯულთა ერთობა გვაიძულებს უარვყოთ ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, ვუღალატოთ ჩვენ სამშობლოს-საქართველოს*), ჩვენს დედა-ენას?

არა ბატონებო, მე XX საუკუნეში ხალხები ერთდებიან არა იმის მიხედვით, ვინ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის, არამედ ენის, ტერიტორიის, კულტურის და ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესების მიხედვით.

მ. ხანანაშვილი.

*) „ქართველთ ისრაელნი საქართველოში„ გვ. 99—100.

*) რომელმაც ჩვენ ნამდვილი დედობა და არა დედინაცვლობა გაგვიწია.

იერუსალიმი წმინდა ქალაქია ჩვენთვის, და განა მარტო ჩვენთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ირლანდიის საკითხის გამო. ლოიდ დჟორდჟისა და მთავრობის შორის მომხდარი შეთანხმება სავსებით არ იქნა მიღებული.

— —

პეტროგრადში სენატორ ლიუბიმოვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება, რომელიც განიხილავს გამოქცეულების საქმეს, რათა მათი გადასახლება პეტროგრადიდან აუცილებელი შეიქნა.

— —

პეტროგრადის, მოსკოვის და ხარკოვის საიურიდიო ფაკულტეტმა შუამდგომლობა აღძრა მინისტრთან, ქალების ამ ფაკულტეტზე მიღების გამო. მინისტრმა მხოლოდ ხარკოვის უნივერსიტეტის თხოვნა შეიწყნარა.

## ჯიბრიანობით საქმე არ გაკეთდება.

(ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველოს დამაარსებელ მზრუნველ კომიტეტის საგულისხმოდ).

„გულ მოდგინებით გაებენ
სამივე ერთად მარხილში,
მაგრამ ვერ დასძრეს ის ტვირთი
ტყვილადჩავარდენ სირცხვილში
. . . . . . . . . . . . . .
„თურმე ნუ იტყვით... მიზეზი
იმათი გაჭირვებისა
უთანხმოება ყოფილა—
ნაყოფი უმეცრებისა.“

მომყავს ეს ორი ადგილი კრილოვის არაკიდან მზრუნველ კომიტეტის წევრთა საგულისხმოდ. არ მინდოდა და არც სასურველი იყო გაზეთის ფურცლებზე გადმომეტანა ჩვენი სამარცხვინო საქციელი, მაგრამ „სამშობლო“-ს 402 და 406 ნომრებში მოთავსებულ ცნობა-წერილების გამო და განსაკუთრებით კომიტეტის თავმჯდომარის ბ. არ. მიქაბერიძის წერილის შემდეგ, რომელიც თავის ღია წერილში სხვათა შორის ჩემს მოვალეობასაც მიკარნახებს, დარიგებას მაძლევს და მით აუწყებს მკითხველ საზოგადოებას, რომ მე, როგორც პასუხის მგებელ გამგეს, ვითომ არაფერი არ მეკითხება გარდა „გახსნილი ბიბლიოთეკის ფხიზლად თვალყურის დევნისა, რათა მთავრობას საბაბი არ მიეცეს სამკითხველოს უდროოდ დახურვისა“, მეც უნებლიედ იძულებული ვარ ხმა ამოვიღო, და მოკლედ გავაცნო საზოგადოებას ჩვენი ერთი წლის მოღვაწეობის ნაყოფი:

ამ თვის 22 სრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც მე, მოვახდინე მთავრობის ნებართვით, პირველი საზოგადო კრება ამ სამკითხველოს დაარსების შესახებ ქუთაისში „ღულაძისეულ“ მოედანზე; კრებამ აირჩია მზრუნველი კომიტეტი 17 წევრისაგან, წევრებმა კი თავიანთ შორის—არ. მიქაბერიძე თავმჯდომარედ. თავმჯდომარემ იმ დღიდანვე შეიძინა საჭირო დავთრებ-წიგნები, ყოველივე საკანცელარიო მასალა და იწყო მოვალეობის შესრულება; ყოველ კვირაში, თუ ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა კომიტეტის წევრთა კრება, ჩაღდებოდა ლაპარაკი, იწერებოდა ოქმი, და ასე და ამ გვარად წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა ამ ერთი წლის განმავლობაში მოვახდინეთ 25-30-მდე კრება, ვიბაქიავეთ ბევრი „არა მე ვაკეთებ საქმეს და არა მეო“, ყოველ კრებაზე ლაპარაკი ყოველთვის თავიდან დავიწყეთ და დასასრული კი აღარ მივეცით, ერთი დავთარი გავავსეთ ოქმებით, ვიოცნებეთ, სახლი სამკითხველოსთვის ხან ვიქირავეთ, ხან ავაშენეთ, ცარიელი სიტყვების ყუმბარები ერთი-მეორეს დაუშინეთ და ბოლოს გამოგვივიდა წყალის ნაყვა.

პირველი წლის ჩვენი მოღვაწეობა გათავდა მით, რომ ვიშოვეთ 600-700 მანეთი, ინჟინერს პლანი გავაკეთებიეთ, რომლის განხორციელებას დღეს 5-6 ათასი მანეთი სჭირია და ჩვენ კი ერთი ათასიც არა გვაქვს, მოედანზე ქალაქის მიერ დათმობილი მიწა შემოვიკავეთ, დავყარეთ შიგ რამდენიმე ურემი რიყის ქვა, ქვიშა და კირი, რომელიც დღეს მიაქვს ზოგი ქარს და ზოგი ბოროტ ბავშებს, ჩვენ კი ეხლა კინკლაობა ჯიბრობა გავმართეთ ერთმანეთ შორის და მით ვიწყებთ მეორე წლის მოღვაწეობას, რომელიც იმედია ერთ წელიწადს კიდევ გასტანს.

ბ. არ. მიქაბერიძე ყოველივე ამას თავისებურად ხსნის და ჯერ ლაპარაკობს, „ბიბლიოთეკის შესახებ თავმჯდომარისა და წევრთა შორის უთანხმოება არ არსებობს და ჯერც იარსებებდაო“ შემდეგ სხვაგვარ ჩვენებას იძლევა: „უთანხმოება მარტო კომიტეტის წევრთა უმრავლესობისა და უმცირესობის შორის არსებობსო; თავმჯდომარისა და ზოგიერთ წევრთა შორის კი განსაკუთრებული ხასიათის უსიამოვნებანი არსებობენო, ისეთი უსიამოვნებანი, რომელთაც კომიტეტის საქმეების საერთო მსვლელობაზე არავითარი გავლენა არა აქვთო“.

ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს, რომ კომიტეტში ყოფილა ატეხილი უთანხმოებაც და უსიამოვნებაც, რომელიც, რა ხასიათისაც უნდა იყოს,—სულ ერთია, საქმეს ხელს შეუშლის და კიდეც შეუშალა.

როგორც მზრუნველი კომიტეტის წევრი, აშკარად და დაბეჯითებით ვიტყვი, რომ კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრთა უმრავლესობის შორის კარგი ხანია რაც ჩატეხილია ხიდი, არსებობს უსიამოვნება, რის გამოც კრებაზე არაფერი არ კეთდება და ყოველთვის უთანხმოება არის. თამჯდომარეს გარდა 16 წევრიდან 10 მოწინააღმდეგეა თავმჯდომარისა. ამ ჯგუფმა რამდენჯერმე გამიცხადა მე შემდეგი: „ჩვენ არ მოგვწონს და ვერ ვურიგდებით თავმჯდომარისაგან შემოღებულ ბიუროკრატიული წესებს, უნდობლობას გვიცხადებს. ყოველივეს ეჭვით უყურებს, უბრალო წვრილმან საქმეებს ჩაჰკირკიტებს და ტყვილა დროს გვაკარგვინებსო. ამიტომ სანამ ის თავმჯდომარე იქნება, იმის ხელში არაფერი არ გაკეთდებაო“.

მართალიც არის. აბა რა გაკეთდება იქ, საცა ერთი უფროსობას ლამობს და დანარჩენებს კი ყმობა არ სურს, ამიტომ აუცილებლად საჭიროა ბ-ნმა თავჯდომარემ ამ სამი დღის განმავლობაში კრება დანიშნოს და ვეცადოთ საქმე შეთანხმებით დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მთავრობის ნებართვით არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება მოვიწვიო ახალი მზრუნველი კომიტეტის ასარჩევად, რადგან ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ უნარი თანხმობით საქმიანობისა

რაც შეეხება ბ-ნ მიქაბერიძის მიერ მისსავე „ღია წერილში“ ჩემდამი მომართულს, სიტყვებს ვითომც მე არაფერი მეკითხებოდეს და როგორც პასუხისმგებელი გამგე მარტო პოლიციელის როლს უნდა ვასრულებდე,—მეტის მეტ ახირებულებად მიმაჩნია. მარტო ასეთი მისი თქმა ნათლად მოწმობს, რომ ბ-ნ მიქაბერიძეს ძლიერ უყვარს როლების განაწილება და დიდგულა დირიჟორობა, რაც ძირს უთხრის კოლეგიალურ მუშაობას.

კიდეც ამიტომ აუცილებლად საჭიროა ან შეთანხმება კომიტეტის წევრებისა და ან განახლება კომიტეტისა *)

სამკითხველოს პასუხის მგებელი გამგე და მზრუნველი კომიტეტის წევრი ლადო ბზვანელი.

*) რედაქცია სპობს ყოველგვარ კამათს ამ საგანზე და ურჩევს მზრუნველ კომიტეტს მართლაც ან შეთანხმდეს და ან გამოსცვალოს თავისი შემადგენლობა. რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს“ № 405-ში მოთავსებული იყო სტ. ვლ. გუბელაძის წერილი „ჩემი პასუხი უმწიკვლოებს“, რომელიც მიმართულია ხარკოვის ქართულ სათვისტომოს გამგეობის წევრებისადმი. როგორც გამგეობის ყოფილი წევრი უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემ წერილს.

თქვენს წერილში, ბატ. გუბელაძე, ბრძანებთ, რომ „სტ. კალოიანი სათვისტომოს ფულებს აძლევდა სესხად თავის მეგობრებს“ და „სათვისტომოს ფულებს თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხარჯავდა“. ხარკოვში კი ამას ერთი სიტყვით ამბობდით და ყველას იმას ეუბნებოდით, რომ სტ. კალოიანმა სათვისტომოს ფულები გაფლანგა, (растратилъ) და ამასთან დასძენდით, რომ კალოიანთან ერთათ აქ მთელ გამგეობას უდევს ბრალიო. (გაიხსენეთ თქვენი გამგეობისადმი წერილობითი მიმართვა.) გამგეობამ, შეურაცხყოფილმა ასეთი ბრალდებით, სარევიზიო კომისიას მიმართა გამოერკვია, მართლა გაფლანგული არის ფული, თუ არა; რის პასუხათ რევიზიის შემდეგ სარევიზიო კომისიამ გვაცნობა, რომ არავითარ ფულის გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია, შემოსავალ-გასავალი სავსებით სწორი არის და ამხ. კალოიანი გამგეობასთან ერთათ მართალია. თქვენ კი საიდან შეთხზეთ, რომ „სარევიზიო კომისიას მიუღია კალოიანისაგან მიერ სამას მანეთამდე სათვისტომოს არსებობისათვის გაწეული წვრილმანი ხარჯები და შესაფერი საბუთი კი ვერ წარმოუდგენიაო“. ეს თქვენი შეთხზულია და მგონია, რომ ამას ვერც სარ. კომ. წევრი მარგველაშვილი დაგიმოწმებსთ. თუ ეს მართალი არის, რათ არ უთხრა მარგველაშვილმა ეს საქმე გამგეობას და ამით საქმე უფრო გაართულა. ვიმეორებ, ეს თქვენი შეთხზულია.

თქვენ ძლიერ გაკვირვებსთ, ბ. გუბელაძე, ის და ვერ გაგიგიათ, თუ როგორ მოხდა, რომ სათვისტომოს არსებობისათვის სამასი მანეთი დაიხარჯა. რათ არ გიკვირსთ ის, თუ როგორ მოხდა, რომ დარჩმა გამგეობამ, რომელსაც ძველი გამგეობიდან მხოლოთ 14 მ. და 75 კ. ერგო, შეძლო ის, რომ ორ-სამ თვეში სათვისტომოს თანხა 2000 მანეთამდი აიყვანა (რომელიც ხარ. სათვ. კასას არასოდეს არ ახსოვს) და რომელიც თქვენ და დანარჩენ ამხანაგებ შორის იქნა დანაწილებული. როგორ ფიქრობთ ამ ფულების მოგონას დაჭირდებოდა ფული თუ არა? გაგეგებათ თუ არა, რომ საღამოს მოწყობას, რომელმაც ეს ფული მოგვცა, ფული ჭირდებოდა? მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ საუბედუროთ ასე გვჭირია: თუ ერთმა მეორეს ჩირქი არ მოვცხეთ და არ გავსვარეთ, შეუძლებელია. წრევანდელმა გამგეობის წევრებმა ის ქნეს, რომ თავისი გაჭირვება დათმეს, სათვისტომოს კასიდან ერთი კაპიკი არ გამოიტანეს (ჩვენი თავი ჩვენ თვითონ დავავალდებულეთ!) და ამხანაგებს დაუთმეს. სამაგიეროთ მიიღეს მხოლოთ ლანძღვა და უმადურობა.

თქვენი წერილის ბრალდება (?) მიმართულია „უმთავრესათ ამხ. კალოიანის და პატარაიასადმი და აქვე ბრძანებთ, რომ უმრავლესობასთან „ერთი თავგამოდებული ადამიანები“ რას გახდებოდნო. როგორც მოგეხსენებათ გამგეობაში არის ხუთი კაცი და ვინა კუავთ კიდევ მხედველობაში საინტერესო არის ვიცოდეთ ეგებ ამ ორი ამხანაგის გარდა კიდევ იყო გამგეობაში ვინმე, რომელიც საამხანაგო ფულს ფლანგავდა. ეს საჭირო არის ყველამ იცოდეს!

თქვენ წერილში იხსენიებთ აგრეთვე რწმუნებულებს. რათ არ სწერთ სიმართლეს? გამგეობამ წინადადება მოგცათ სტუდენტთა რწმუნებულთათვის წარგედგინათ საბუთები, სადაც თქვენ სიტყვებს დაამტკიცებდით და კალოიანს და გამგეობას გაამტყუნებდით. შედგა კრება, რომელსაც თქვენ არავითარი საბუთი არ წარუდგინეთ (ალბათ არ გქონდათ!) და შუა კრებიდან გამოიქეცით. რათ ქენით ეს? ნუ თუ იმიტომ, რომ ამით თქვენი სიმართლე დაამტკიცეთ? მე მგონია, რომ არა!..

არ ვიცი როგორ გაიგეს ის „უმწვიკლები“ რომელთაც თქვენ ემუქრებით „შეცდომები გაისწორეთო“ და მე კი მართალი მოგახსენოთ, არ მესმის ვის ეკუთვნის ეს სიტყვები და ან რა შეცდომები გქონდათ მხედველობაში. ადამიანს შეუძლია იფიქროს, რომ ხარკოვში მყოფ ყოველ ქართველ სტუდენტს აქვს რაღაც ცოდვები... ფრთხილად მოეკიდეთ სხვის კეთილ და პატიოსან სახელს!

დასასრულ მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ ამხ. პატარაიასა და ჟღენტზე მე მათ გამართლებას არ შევუდგები, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს პირადი თქვენი საქმეა და მეორე მათ ჩემი გამართლება არ ესაჭიროებათ. გეტყვით მხოლოდ ერთს, რომ თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ პატარაია და ჟღენტი აქამდი მართლები არიან, იცით ვინ არის დამნაშავე, მაგრამ... რასაკვირველია უდანაშაულო უნდა დაისაჯოს! ექიმ რაკოვსკის და ნირენბერგს კი დათვური სამსახური გაუწიეთ და არც მადლობას მოგახსენებენ, რადგანაც პატარაიაც და ჟღენტიც, მე მგონია, მათ პასუხს მოსთხოვენ.

ხარკოვის სათვისტომოს გამგეობის ყოფილი წევრი **ბ. ამაშუკელი**

## ღია წერილი

ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოს დამაარსებელ მზრუნველ კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. არჩილ მიქაბერიძეს.

ერთი წელიწადი სრულდება რაც თქვენ კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებთ: თუმცა ამ ერთი წლის განმავლობაში შრომა ბევრი გასწიეთ, მაგრამ საქმეს თავი ვერ მოაბით, რადგანაც თქვენ მზრუნველი კომიტეტის წევრთა უმრავლესობას ეჭვის თვალით უყურებთ; უნდობლობას უცხადებთ; კრებებზე ცდილობთ ყოველივე საჭირო საკითხი თქვენს ხასიათზე წაიყვანოთ; ბიუროკრატიული წესები შემოიღეთ, კანცელიარული წესწყობილება გაამეფეთ და მარტო ოქმების წერით დაამთავრეთ ერთი წლის თქვენი მოღვაწეობა. ამის გამო ჩვენ ვერ ვეწყობით და ვერიგდებით თქვენს ასეთს მოქმედებას, რის გამო მუდამ მოგვდის უსიამოვნება თქვენთან, და ეს კი ჩვენზე მონდობილ საზოგადო საქმეს აფერხებს, ამიტომ ჩვენ მადლობას გწირავთ თქვენ ასეთი კეთილი საქმიანობისათვის და გთხოვთ ამ წერილის დაბეჭდვიდან სამი დღის განმავლობაში დანიშნოთ კრება და თანახმად ორი ივლისის კრებაზე თქვენი განცხადებისა, თავჯდომარეობას თავი დაანებოთ და მით საშუალება მოგვცეთ ჩვენ შორის სხვა ავირჩიოთ, რითაც ბოლო მოეღება ჩვენს უსიამოვნებას და შესაძლებელია ამით მომავალში სამკითხველოს ბედიღბალიც უფრო კარგად დაგვირგვინდეს.

P. S. ჩვენთან ერთად ასეთი სურვილის თანახმა არიან კიდევ ორი წევრნი, რომლებიც დღეს საზღვარგარეთ იმყოფებიან

მზრუნველი კომიტეტის წევრნი: ვარლამ გიორგისძე თევდორაძე, პ. კოსტავა, დიანოს იგივე ჭიჭიკო ვარდოსანიძე, თეოფანე დ. ბახტაძე, კალინიკე ხხაიძე, ნინო აბულაძე, ნ. მღივანი, ვლადიმერ შავგულიძე, იულიანე ჭითავა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

**გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
liedesgaden für die. Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის. [illegible] გაიგზავნოს [illegible] პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
Agence des prisonniers be guerre
Genéve.



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დილისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დილისით | 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | დილით | 5 ს. 20 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების სამკურნალო**

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა... კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს. ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილი „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით

**საღი კუჭი**

**ულაგარი** ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ულაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს გაღაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **ულაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი პრეპარატ **ულაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ულაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. კ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ულაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)